



ბორჯომი

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი * გამოდის 1931 წლის 20 ივლისიდან

13 თებერვალი

საუბრალო

2025 წელი

№6(9372)

ფასი 40 თეთრი

„ბაკურიანი - 2025“ საზეიმოდ გაიხსნა



9 თებერვალს, ბაკურიანში, საზეიმოდ გაიხსნა ევროპის ზამთრის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი.

ოლიმპიური ფესტივალი 9-დან 16 თებერვლამდე გაგრძელდება. შეჯიბრებას ბაკურიანში, თბილისსა და ბათუმში მოწყობილი თანამედროვე სპორტული ინფრასტრუქტურა უმასპინძლებს. ფესტივალი სპორტის რვა სახეობაში გაიმართება (სამთო თხილამურები, ბიატლონი, თავისუფალი სრიალი, ფიგურული ციგურაობა ყინულის პოკეი, შორტ ტრეკი, თხილამურებით რბოლა, სნოუბორდი).

ფესტივალში მონაწილეობს 45

ქვეყნის 1000-მდე სპორტსმენი.

ფესტივალი დროშის აღმართვით, საქართველოს ჰიმნით, ქართული ცეკვებითა და მუსიკის ჰანგებით იყო დამშვენებული.

გახსნის ცერემონიაზე სპორტსმენების ტრადიციული აღლუმი გაიმართა, მონაწილეებმა ოლიმპიური ფიცი დადეს.

ფესტივალის მონაწილეებს მიესალმა საქართველოს მთავრობის პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე**, - „ფესტივალი, რომელიც 45 ქვეყნის 1000-მდე ათლეთი და 700-ზე მეტი ოფიციალური პირი მონაწილეობს, იმის ნათელი დასტურია, რომ ჩვენ შევუერთდით

ევროპული ქვეყნების შვიდეულს, რომლებმაც როგორც ზაფხულის, ასევე ზამთრის ოლიმპიურ ფესტივალს უმასპინძლეს.

ფესტივალისგან რაც შეიძლება მეტი მემკვიდრეობის დატოვება ქვეყნისთვის - ევროპის ოლიმპიური კომიტეტების ხელდასა, რაც სრულ თანხვედრაშია ჩვენს ხედვასთან. სწორედ ამიტომ ფესტივალი სამ ადგილას - ბაკურიანში, ბათუმსა და თბილისში იმართება. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ბათუმში და თბილისში პირველად მასპინძლობენ ასეთ დიდ შეჯიბრებას და ამით ახლებურად წარმოაჩენენ თავს მსოფლიოს თვალში“, - განაცხადა პრემიერმა.

ირაკლი კობახიძის თქმით, უმაღლესი სტანდარტების უზრუნველსაყოფად, მთავრობამ ეტაპობრივად ასეულობით მილიონი ლარი გამოყო.

„ეს არ არის ერთადერთი ღონისძიება, რომელიც ამ ზამთარს საქართველოში ტარდება. ამ თვეში ასევე დაგეგმილია მსოფლიო ღონისძიებებში ტურნირი ჩვენს



სხვა კურორტებზეც - გუდაურსა და მესტიაში. მაღლობას ვუხდით ყველა მონაწილე ქვეყანას, დღეგატებს, მისიების ხელმძღვანელებს, რომლებმაც ნდობა გამოგვიცხადეს. ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ, რომ მათთვის საუკეთესო პირობები შეგვექმნა.

დარწმუნებული ვარ, ფესტივალი ჩვენს ქვეყანას კიდევ უფრო დიდ სახელს მოუტანს და მომავალ თაობებს ახალ შესაძლებლობებს გაუხსნის. კიდევ ერთხელ მაღლობას ვუხდით ყველას, ვინც ამ წარმატებაში წვლილი შეიტანა. თითოეულ სპორტსმენს - წარმატებებს, გულმამაკეთვარს კი დაუფინყარ სპორტულ სანახაობას ვუსურვებ“, - აღნიშნა პრემიერმა.

ასევე სიტყვით გამოვიდა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი **ლერი ხაბელოვი**, ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე **მამუკა საბარელი**, ევროპის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი, სპორტის კაპრალოსი.



ღონისძიების ბოლოს კი ბაკურიანის ცენტრალურ პარკში ოლიმპიური ცეცხლი შემოიტანა მსოფლიოში აღიარებულმა, ტრამპლინიდან მსტომელმა, 90 წლის **კობა ნაქაძემ** და გადასცა სამთო-მოთხილამურეს, **ანასტასია მირიანაშვილს**, რომელმაც საზეიმოდ აანთო და ზამთრის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი საქართველოს პრეზიდენტმა **მიხეილ ყაველაშვილმა** ოფიციალურად გახსნილად გამოაცხადა.

მინისტრის უხვდა სპორტის ნარკომადგენლებთან



საქართველოს სპორტის მინისტრმა, **შალვა გომოლაძემ**, ბაკურიანში ზამთრის სპორტის სახეობების წარმომადგენლებთან შეხვედრა გამართა. შეხვედრას ბაკურიანის განვითარების სააგენტოს თავმჯდომარე **ქაბაჩიანი ორჯონიძე**, სააგენტოს თანამშრომლები და ზამთრის სპორტის სახეობების (სამთო-თხილამურები, ტრამპლინიდან ხტომა, ბიატლონი, თხილამურებით რბოლა) მწვრთნელები, სპორტსმენები და ფედერაციების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

შეხვედრაზე განიხილეს აღნიშნულ სპორტის სახეობებში არსებული პრობლემები და მათი გადაჭრის გზები. მწვრთნელებისა და სპორტსმენების საჭიროებები, ინფრასტრუქტურასა და ეკიპირებასთან დაკავშირებული საკითხები. ისაუბრეს სამომავლო პროექტებზე, ზამთრის სპორტის სახეობებში ბავშვებისა და ახალგაზრდების ჩართულობაზე. ყურადღება გამახვილდა ბაკურიანში სპორტული ტურიზმის განვითარებაზე.

შალვა გომოლაძემ ყურადღება გაამახვილა ზამთრის სპორტის სახეობებში ბაკურიანის დიდ ტრადიციებსა და კურორტის მნიშვნელობაზე. მინისტრმა ზამთრის სპორტის სახეობების წარმომადგენლებს სამინისტროსგან მხარდაჭერა აღუთქვა.

მოეწოდა თანამედროვე სპორტული მოედანი

ახალდაბაში, ბორჯომის ქუჩაზე, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სპორტული მოედანი და სკვერი მოეწოდა.

პროექტი ითვალისწინებს ახალი რეკრეაციული სივრცის მონყობას. სკვერში განხორციელდება საერთო სამშენებლო და გამწვანების სამუშაოები, მოეწყობა მოსასვენებელი სივრცეები. დამონტაჟდება გასართობი ატრაქციონები, ფანჯატური, დაიდგმება საპარკე სკამები და სანაგვე ურნები, მოეწყობა გარე განათების, წყლისა და კანალიზაციის ქსელი. მოეწყობა მინი სპორტული მოედანი და ფიტნეს ზონა.

მერის, პატონ **ოთარ არბოლიშვილის** თქმით, ბორჯომის მუნიციპალიტეტისთვის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება რეკრეაციული სივრცეების მოწყობაა.

„ბორჯომი ტურისტული ქალაქია, შესაბამისად ინფრასტრუქტურის განვითარება, მათ შორის, ახალი რეკრეაციული სივრცეების მოწყობა ხელს უწყობს ტურიზმის განვითარებას. ადგილობრივებისთვის და ტურისტებისთვის გასართობი ზონების მოწყობა მომავალშიც გაგრძელდება“, - განაცხადა ბორჯომის მერმა.

სკვერის და სპორტული მოედნის მოწყობისთვის თანხები ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოიყო.



საკოლექციო ღანიშულაის უკვლავ მოწვევა გალავნათ

ბაკურიანში ევროპის ზამთრის XVII ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის აღსანიშნავად გამოცემული ვერცხლის საკოლექციო მონეტის პრეზენტაცია გაიმართა. ინფორმაციას საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი ავრცელებს.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა, **ნათია თურნავამ**, საკოლექციო დანიშნულების ვერცხლის მონეტები გადასცა ევროპის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტს სპორტის კაპრალოსს, ტრამპლინიდან ხტომაში ვეტერანი ოლიმპიელის **კობა ნაქაძის** შვილს - **კახა ნაქაძეს** და 2010 წელს ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე ტრაგიკულად გარდაცვლილი სპორტსმენის **ნოდარ ქუმარიტაშვილის** ოჯახს.

5 ლარის ნომინალის საკოლექციო დანიშნულების მონეტების გამოშვების გადწყვეტილება სეპ-ის საბჭომ ევროპის ზამთრის ახალგაზრდული ფესტივალი „ბაკურიანი 2025“-ის საორგანიზაციო კომიტეტთან თანამშრომლობით მიიღო. ღონისძიებაზე სიტყვით გამოვიდნენ ევროპის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი **სპორტის კაპრალოსი**, სეოკის პრეზიდენტი **ლერი ხაბელოვი**, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი **ნათია თურნავა** და ევროპის ზამთრის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის „ბაკურიანი 2025“-ის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე **მამუკა საბარელი**.

საკოლექციო მიზნებისთვის მონეტების გამოშვების ექსკლუზიური უფლება საქართველოს ეროვნულ ბანკს აქვს და ქვეყნისთვის მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს.

ახალგაზრდული ბანაკი - ბაკურიანში



ბორჯომის მუნიციპალიტეტის ინიციატივით, ახალგაზრდული ბანაკის ფარგლებში, 100-მდე ბორჯომელი ახალგაზრდა დაბა ბაკურიანში იმყოფებოდა.

ახალგაზრდები აქტიურად ჩაერთნენ სპორტულ, საგანმანათლებლო და გასართობ აქტივობებში.

ახალგაზრდებთან ერთად ადგილზე იმყოფებოდნენ ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერი, **ოთარ არბოლიშვილი**, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე, **ლევან თედიაშვილი**, მერისი უკლტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ახალგაზრდობასთან ურთიერთობისა და ტურიზმის განყოფილების სპეციალისტი **ლანა გიორგიძე** და ბანაკის ორგანიზატორი **გოლადი ჭოლაძე**.

საქართველოს ოქროს ხანიდან 900 წელი გავიდა!

1089 წელს აფხაზთა და ქართველთა მეფის ტახტზე ავიდა 16 წლის ჭაბუკი, მეფე დავით IV, შემდგომში აღმაშენებელად წოდებული. იგი დაიბადა 1073 წელს, მეფე გიორგი მეორის ოჯახში, ბაგრატიონთა დინასტიიდან.

დავით აღმაშენებელმა, ერთ-ერთმა ყველაზე წარმატებული ქართველმა მონარქმა მოახერხა თურქ სელჩუკთა ქვეყნიდან განდევნა. მის მიერ ჯარში და მმართველობის სისტემაში გატარებულმა რეფორმებმა შესაძლებლობა მისცა ქვეყანა გაეერთიანებინა და მთელი კავკასიის მიწები საქართველოს დაქვემდებარებაში შემოემტკიცებინა. ქრისტიანული კულტურის წამახალისებელი და თავად თავდადებული ქრისტიანი საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის მიერ წმინდანად არის შერაცხული.

დავით ნიგნის დიდი მოყვარული ყოფილა. სადაც უნდა წასულიყო, ომში, სანადიროდ თუ სამოგზაუროდ, რჩეული ნიგნები ყოველთვის თან დაჰქონდა. როგორც კი დასასვენებლად მუხლს მოხრიდა, მაშინვე ნიგნს მობრუნებდნენ. თვალი რომ დაეღლებოდა, სხვას აკითხებდა ხმაშლით. დავითი კითხულობდა ღვთისმეტყველთა ნაშრომებს. ასევე ეცნობოდა ანტიკურ ავტორთა ნაშრომებს, როგორც საეკლესიო და სამხედრო, ისე ეკონომიკურ, არქიტექტურულ, სამართლებრივ სფეროში. მისივე ინიციატივით ცნობით, ერთხელ ისე გაერთო კითხვით, რომ ვერ გაიგო, მტერი თავს როგორ წამოადგა. თუმცა ნიგნი სწორედ იმისთვის სჭირდებოდა, რომ მომხდური და მოძალადე დაემარცხებინა. ალბათ, ნიგნიერების განუზომელმა სიყვარულმა, რა თქმა უნდა, სხვა ფაქტორებთან ერთად, განაპირობა მის მიერ იყალთოს, გელათის, გრემის აკადემიების დაარსება, სადაც ისწავლებოდა ფილოსოფია, რიტორიკა, არითმეტიკა, გეომეტრია, გრამატიკა, მუსიკა, ასტრონომია. ამ მონასტრებში სამოღვაწეოდ მან საზღვარგარეთიდან ჩამოიყვანა ქართველი მწერლები, მეცნიერები, ფილოსოფოსები, მათ შორის, იოანე პეტრიძე და არსებ იყალთოელი. აქტიურად ეხმარებოდა საზღვარგარეთ არსებულ ქართული კულტურისა და განათლების ცენტრებს.

განათლება ფუჭია სულიერების გარეშე. მსოფლიო ისტორიას არ ახსოვს დავით აღმაშენებელზე კეთილშინაობით, ღირსი და თავმდაბალი მონარქი. მას მოძღვრის კურთხევის გარეშე ერთი ნაბიჯი არ გადაუდგამს. სხვადასხვა დროს მისი მოძღვრები იყვნენ მამა ევსტრატე, მამა იოანე და მამა არსენი. დავითი აღზარდა მეუფე მკურნალებთან, რომელიც მეფისათვის უძვირფასესი ადამიანი გახლდა.

დავითს სიჭაბუკეში ცოლად შერთეს სომეხი ქალი, რომლისგანაც შეეძინა უფლისწული დემეტრე (შემდგომში დემეტრე პირველი). პირველი ცოლის შესახებ სხვა არაფერია ცნობილი. მეორე ცოლად მოიყვანა გურანდუხტი, ყივჩაღთა მთავრის, ათრაქა შარალანის მის ასული, რომლისგანაც შეეძინა კიდევ ერთი ძე - ვახ-

ტანგ (ცუხატა), და ასული - თამარ, კატაი და თამარ მრნები. თამარ უფროსი ცოლად ჰყავდა შირვანის შაჰს, მანუჩარ მეორეს, კატაი - ბიზანტიის კეისარ ივანე კომნენოსის უმცროს ძმას, ალექსის, ხოლო თამარ მრნები - ოვსეთის მეფეს (დემეტრე პირველის დროს მისთხოვდა).

1099 წელს დავით აღმაშენებელმა თურქ-სელჩუკებს ხარკი შეუწყვიტა. ქვეყანამ სრული დამოუკიდებლობა მოიპოვა. ამ დროიდან დაიწყო საქართველოს ეკონომიკური და კულტურული აღმავლობა. თურქ-სელჩუკთა ალაგმვის შემდეგ დავითი შეუდგა ქართული მინა-წყლის სრული გაერთიანებისათვის ბრძოლას. 1103 წელს აიღო ზედაზენი. 1104 წელს საქართველოს გაერთიანების მომხრე ჰერეთ-კახეთის დიდებულების (ქავთარისა და მისი დისწულების - არიშანისა და ბარამის) დახმარებით შემოიერთა ჰერეთი და კახეთი.

1110 ქართველთა ლაშქარმა სამშვილდე აიღო, 1115 წელს - რუსთავი, 1117 წელს - გიში, 1118 წელს - ლორე. 1121 წლის აგვისტოში დავით IV-ის მეთაურობით ქართველებმა ძლევამოსილი ომი გადაიხადეს მუსლიმანთა კოალიციური ლაშქრის წინააღმდეგ. ბრძოლა დიდგორთან მოხდა. ქართველებმა გაიმარჯვეს დავითის მოხერხე-


ბული ტაქტიკის წყალობით. ამ ომის გამარჯვებით მათ დაიცივეს სამშობლო სრული განადგურებისაგან. დიდგორის ბრძოლაში გამარჯვების შემდეგ, 1122 წელს დავით აღმაშენებელმა თბილისი შემოიერთა საქართველოს სამეფოს.

დავით აღმაშენებელი დიდად უწყობდა ხელს ვაჭრობისა და ხელოსნობის განვითარებას. მან მელავათიანი პირობები შეუქმნა ვაჭრებს, ააგო ხიდები, გზები, ააშენა ფუნდუკები, სადაც სხვადასხვა ქვეყნის ვაჭრებს უფასოდ შეეძლოთ ღამისთევა. ამის შედეგად XII საუკუნის I მეოთხედში საქართველოში საქალაქო ცხოვრება განსაკუთრებით დაწინაურდა.

დავით აღმაშენებლის სახელთანაა დაკავშირებული გელათის ტაძრის მშენებლობა (დაუნყიათ 1106 წელს). მანვე დააარსა ქართული კულტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კერა - გელათის აკადემია. დავით IV-ის განკარგულებით ააგეს ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია შიომღვიმეში.

დავით აღმაშენებელმა თავისი წვლილი შეიტანა ქართული ჰიმნოგრაფიის განვითარებაშიც. მას ეკუთვნის ორიგინალური პოეტური ნაშრომები „გალობანი სინანულისანი“, რომელიც შუა საუკუნეების ქართული კულტურის იდეოლოგიური და ესთეტიკური მრწამსის გამომხატველებაა.

დავით აღმაშენებელი გარდაიცვალა 1125 წელს, დაკრძალულია გელათის მონასტრის სამხრეთის კართან, სადაც დღესაც არის შემორჩენილი უზარმაზარი ლოდი დავითის ეპიტაფიით: „ესე არს განსასუენებელი ჩემი უკუნიით უკუნისამდე; ესე მთნავს აქა დავემკვიდრო მე“. თუმცა წმინდანად კურთხევის შემდეგ მისი ნაწილები ამოუსვენებიათ და დაუკრძალავთ გელათის საკრებულო ტაძარში. ქართულმა ეკლესიამ წმინდა დავით მეფის ხსენების დღედ დაანუსა 26 იანვარი (ძველი სტილით ახალი სტილით 8 თებერვალი).



ბთაჰაზობთ ფაჩხავს დავით აღმაშენებლის ხსოვრებიდან

მას შემდეგ, რაც დავით აღმაშენებელმა კახეთი, ერწო-თიანეთი და არაგვის ხეობა კვლავ შემოიერთა, ქვეყანაში ვაჭრობის, მშენებლობის, ხელოსნობისა და მეურნეობის განვითარება დაიწყო. იმისათვის, რომ მთებში გახიზნული მოსახლეობა სახლებსა და სამუშაოს დაბრუნებოდა, მონეულ მოსავალს გაყიდვა, დანგრეულ სახლებს და სხვა ნაგებობებს აშენება, საჭირო საქონლის უცხოეთიდან შემოტანა იყო საჭირო. ამ ყველაფერს კი შესაბამისი პირობების გარეშე ვერ მიაღწევდა სახელმწიფო. ეს პრობლემა მეფემ ბრძნულად მოაგვარა: ააგო უამრავი ხიდი, გაიყვანა გზები და ამ გზებზე სახელმწიფო ხარჯით აშენდა სასტუმროები, „ფუნდუკები, სადაც უცხოელებს შეეძლოთ უფასოდ გაეთიათ ღამე და საქონელიც დაეზინებინათ. ამის დამსახურებით არანახულად განვითარდა ქალაქური ცხოვრება. გაჩნდა სახელოსნოები, სადაც ამზადდებდნენ იმ ნივთებს, რომლებიც აქამდე მხოლოდ უცხოეთიდან შემოჰქონდათ.



ის არის ერთადერთი სიმაკრული!

უკვე მერამდენედ ვხედავთ ერთსა და იმავეს... ერთ წრეზე ვტრიალებთ... ოცდაათი წელზე მეტია, აქციიდან აქციით ვცხოვრობთ... ახლა, შესაძლოა, ვინმემ გამაპრიტიკოს, ვინმესთვის მიუღებელი აღმოჩნდეს ჩემი პოზიცია, ვინმემ „დამაბულინგოს“, მაგრამ სათქმელი უნდა ითქვას!

2011 წლის 26 მაისს, როდესაც სააკაშვილის, ახალაიების, კოდუას და მერაბიშვილის ჯალათებმა სასიკვდილოდ გაგვიმეტეს მეც და ჩემი კოლეგებიც, არ მახსოვს, რომელიმე ტელეჟურნალისტს (რამდენიმეს გამოკლებით) პროტესტი გამოეთქვას და მითუმეტეს, სიუჟეტი მოემზადებინოს ჩვენს მიმართ ჩადენილ ძალადობაზე!

მათ შორის, არც დღეს უკვე „ქართული ოცნების“ მომხრე ჟურნალისტებს!

მხოლოდ თითზე ჩამოსათვლელ ადამიანებს ეყოთ ვაჟკაცობა - დაეგმონ ჩვენს წინააღმდეგ მოწყობილი სასაკლავო!

გეტყვიან პირდაპირ: მხოლოდ ირმა ინაშვილმა, ნინო ჯღარკავამ, ზონდო მძინარაშვილმა, ინგა გრიგოლიამ და გიორგი თარგამაძემ შეძლეს იმ ჯალათური რეჟიმის სატელევიზიო ეთერებში მხილება იმავე ღამეს!

და „კოლეგები“, რომლებიც იმ დროს ე.წ. სამთავრობო არხებზე მუშაობდნენ, არც შენუხე - ბუღალან და მოკითხვითაც არაფის მოუკითხივარ რეჟიმის 37 ტყვეთი დასახიჩრებული, „ხამუთე-ბი“ დაბნეული, ნაცემ-ნავკვიში მეგობარი და კოლეგა!

მხოლოდ ცხოვრებულმა ლევან ჩხაიძემ (ჯაკო) აიკლო ჩემი ტელეფონი დილიდან-ვე... ზოგიერთმა ჩემმა კოლეგამ 37 (!!!) ღარად შეაფასა მერაბიშვილის ზონდერების მიერ ჩამტვრეული ძელები(!) და აპარატურა და დიან, მხოლოდ მე და ბექა სივნივაძემ გავხედეთ სტრასბურგში ჩივილი საკუთარი უფლებების დასაცავად!

„ასავალ-დასავალი“ ვმუშაობდი მაშინ! იმ „ასავალ-დასავალი“, რომელიც ყელში ძვლად ჰქონდა გაჩხერილი თავად სააკაშვილსა და ვის ჰქონდა ორი თავი, ჩვენს მხარდასაჭერად სიტყვა ეთქვა?!

სხვათაშორის, ჩემი კოლეგების ხმა არც მა-

შინ გამიგია, როდესაც გიგი უგულავას ზონდერებმა გამომცემლობა „სამშობლოდან“ გამოგვყარეს და ქუჩაში დაგვტოვეს ასობით რედაქცია და ათასობით ჟურნალისტი 2007 წლის 10 აგვისტოს.

სამშუხაროდ, არც იმდროინდელ „ტელევიმედს“ არ გამოუხატავს მაშინ მხარდაჭერა და თავი არ მოუკლავს „სამშობლოს“ დარბევის გამო!

ეს არის ყველაზე ცუდი! ორმაგი სტანდარტია მოდამი და ეს ყველაზე ამაზრზენია!

ყველაშვილი გინება გახადეს სალაპარაკო და გვარამიას ბინძურ ეთერებზე დუმილი არჩევნ!

წყლის ჭავლზე მოთქვამენ და ახალაიებსა და გრიგორიანის გმირების მანტიით ფუთავენ!

ეს ბოროტებაა! წინასწარ გამიზნული ბოროტებაა და როცა სხვადასხვა ტელეარხებით მორალს მიკითხავენ, გიგა ბოკერიას და ლევან რამიშვილის მიერ შექმნილი და დამყარებული იდეოლოგიური სიბინძურებები მახსენდება. ეს ყველაფერი ხომ გუშინ და გუშინწინ არ დანებებულა?!

წლებია, ასე ზრდიან ბენდუქიძისა და ლაშა ბუღაძის საქართველოში ახალგაზრდებსაც!

ამის გახსენება არ სურს დღეს არავის! ააააა, ცხოვრება ბუმერანგია!

დღეს არის, ყველამ ხმა რომ ამოიღო, ყველამ რომ ენა ამოიღო, პოლიციელებს სახეში რომ დაუბრუნებენ და ენა რომ აქვთ ალუცილი, ოღონდ „გლობალური ომის პარტიზან“ ძვირი არ დაგცდეს...

დღეს აქვთ დიდი გული, როცა პარტიულ აქტივად იქცა ბევრი ჩემი კოლეგა თუ ე.წ. კოლეგა!

დღეს არის ადვილი, მორალი უკითხო პარტიული ტელეარხებიდან ვანო მერაბიშვილისგან „ცა და დედამიწასავით“ განსხვავებულ ვახტანგ გომელაურს...

დღეს არის იოლი - „ბოზო“ და „ნაბიჭვარი“ აკადრო გნებათ პოლიციელებს და, გნებათ, მონიანაღმდეგ პოლიტიკური ჯგუფის წარმომადგენლებს!

დღეს არის ყველაზე ადვილი, „რუსი“ და „ჩათლახი“ უწოდო „ქართული ოცნების“ ხელმძღვანელს, ელობას, მიუხედავად იმისა, რომ 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ სავიზო რეჟიმიც სააკაშვილმა გააუქმა რუსეთთან და ლარსზეც თავად იდგა გიულევიჩი რუს ტურისტებთან დასახვედრად!

დღეს არის ადვილი, - ლანძლო ირაკლი კობახიძე და შალვა პაპუაშვილი და ხმა არ ამოიღო იმავე ოცნების წევრების გასხვავების გამო სააკაშვილის რეჟიმის წინააღმდეგ!

დღეს დემოკრატიაა, ბატონო, და თქვი, რაც გასურს! გამკითხავი და პასუხის გამცემი არავინაა.

დღეს ისეთ ხალხს უკრავენ აქციებზე ტაშს, რუსეთის მოქალაქის პასპორტი ჯიბეში რომ უდევთ და რუსულ ბაზარზე გაყიდული მსოფლიოსული „კოკა-კოლა“ იხაყრებენ ტაშისკერის მერე მუცელს...

საქართველოს უფროსი სტანდარტის ფედერაციის თავმჯდომარე ვარ არჩეული, მაგრამ თავმჯდომარეობა მარტოდენ სტატუსი და პასუხისმგებლობაა ჩემთვის, და ეს არ ნიშნავს იმას, რომ თანამდებობრივ „ჩარჩოებში“ მოვექცე და არ ვთქვას, რასაც ვფიქრობ!

ეს ჩემი პოზიციაა და თუ ვინმეს არ გესიამოვნებათ, გნებავთ, სააკაშვილის ჩაი მიირთვიეთ და გნებავთ, ცივი წყალი. „გაატარეთ“, ჩემი ნათქვამი და გაიარეთ.

უბრალოდ, იმდენად დააბრმავა გვარამიას შარდმა და გირჩის შარვალჩაბდობმა ჰაბიტუსმა ბევრი თქვენგანი, რომ პოლემიკაც არ მსურს თქვენთან.

დეტალურ საუბარს არ დავინყებ ჟურნალისტურ სტანდარტებზე, მაგრამ რასაც ზოგ-ზოგიერთი ჟურნალისტი თუ ე.წ. ჟურნალისტი კადრულობს დღეს, - არაა ჟურნალისტიკა!

დაიხ, ვწუხვარ და ცალსახად, არც გურამ როგავას ცემაა მოსაწონი საქციელი და არც ზონდერად ქცეული, ჟურნალისტის მანტიაში შეფუთული მაკა ჩინლაძეზე თავდასხმა საქები, არც სხვების მიმართ გამოვლენილი უხეშობა მაღალი სტანდარტის მაჩვენებელი, მაგრამ სად იყავით მაშინ, როცა მთელი ამ წლების განმავლობაში სააკაშვილისა თუ მისი სექტის მიმდევრები ღიად და დაუფარავად აბულინგებდნენ ახგელოზით გოგო-ბიჭებს აქციებზე და მიკროფონებს უტრიალებდნენ ცხვირსა?

სად იყავით მაშინ?

არც შუა რუსთაველზე დანთებული კოცონია მშვიდობიანი აქცია და არც პოლიციელისთვის, მის ცოცხლად დასანგავად ნასროლი „მოლოტოვის კოქტეილი“ მშვიდობიანი აქციის თანმდევი ქმედება!

არც ქვეთ სავე ბოთლების პოლიციელთათვის სროლა დემოკრატია და დაიხ, არც მიკროფონის პირში ჩათხრა ჟურნალისტიკა იმ დროს, როცა არც მავანთა ნათქვამი გესმით და არც სურვილი გაქვთ გაგების!

საინტერესოა, ივანიშვილი მაშინ მოსაწონი იყო იმ ტელევიზორულადგენისთვის თუ პოლიტიკური პარტიების ლიდერებისთვის, როცა მასთან ერთად იყვნენ „კოალიციაში“ და მსუყე ლუკმებს ითვლიდნენ?

დაიხ, ჯანგირაშვილსაც გულისხმობ და აქუბარდიასაც. ხიდაშელსაც და გახარაძესაც. სხვებსაც.

მე თამამად ვერ ამ სიტყვებს!

დაიხ, როცა არავინ იცნობდა ძიძინა ივანიშვილს და როცა ჩანასახიც არ იყო შექმნილი „ქართული ოცნების“, სწორედ მაშინ ვნერდი მის ღვანლზე და მის მიერ აშენებულ სამებაში ვანთებდი ნანთლებს საქართვე-

ლოს საკეთილდღეოდ! დაიხ! როცა „ალიას“ მსგავსად, „ქრონიკული ალიაქით“ ატხებს და არცთუ ცოტა ახსენებდა ივანიშვილის სახელს აუგად, სწორედ მაშინ ვნერდი იმას, რასაც ვფიქრობდი!

დღესაც იმ აზრზე ვარ, რასაც 2007-2010 წლებში ვნერდი და ვამბობდი!

სხვათაშორის, 2003 წლის ნოემბერში, ე.წ. „ვარდების რევოლუციის“ მეორე დღესვე, თუ ვინმე იყო პირველი სტუდენტურ-ახალგაზრდული მოძრაობიდან, ვინც გაბედა და მაშინდელ „დემოკრატიის შუქურად“ ნოდებულ სააკაშვილს დაუპირისპირდა, და ვისაც თემურ ალასანიას დისშვილმა ხელით უჩინა

„უნივერსიტეტის ბაღში ჩატარებულ მიტინგზე; - მე და დანი ცაგურია გახლდით! ამ სიმართლით მოვდივარ და არც კრიტიკის შემინებია დღემდე! სათქმელი უნდა ითქვას! დღეს რაც ხდება ე.წ. ოპოზიციისა თუ ხელოვნების სფეროს წარმომადგენელთა მხრიდან - არ არის მშვიდობიანი!

დღეს როგორც იქცევინ ჩემი კოლეგები თუ ე.წ. კოლეგები (პარტიული დავალებების შესაბამისად), - არ არის ჟურნალისტიკა!

დაიხ, მეც მინდა ევროპა, მაგრამ არა შანტაჟითა და ცალ ფეხზე დგომით! არა - როთისა და „გიუმინტასის“ კარნახით!

არა - „მაიდნის“ სცენარითა და გადამწერი რუსთაველით!

არა - ყავდვასული პოლიტიკოსებისა და „კვივა-მედში“ დანეროლი სცენარით!

P.S. ეს არის ჩემი სიმართლე და სხვა სიმართლე ტყუილია! დღეს, როდესაც ცლობა-ლურად უმძიმეს პერიოდში გვიწევს ცხოვრება და ყოფნა-არყოფნის ზღვარზე ვართ, ესეც უნდა ითქვას: ჩვენი მომავალი ევროპაშია! პოლიციელი გმირია! და, რა თქმა უნდა, - ჟურნალისტი(!) ხელმუხებელია!

გიორგი მავანაშვილი.

საქართველოს ჟურნალისტიკა ფედერაციის თავმჯდომარე.

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ №12-13, 3 თებერვალი, 2025 წ.



სამხრეთი რეაქცია

როდის დაბრუნდებიან ემიგრანტები?

საქართველოში, ალბათ, არ არსებობს ოჯახი, ვისაც ერთი წევრი მინც ემიგრაციაში არ ყავდეს. ჩვენი ქვეყნის საბანკო სისტემაზე ხომ ძირითადად ემიგრანტების მიერ დარიცხვულ თანხებზეა ორიენტირებული. თუკი ყველაზე ღირებულის შექმნა გასურს აქ, საქართველოში, ბანკში მუდამ ითვალისწინებენ იმ პიროვნების ისტორიას, ვისაც საზღვარგარეთიდან ფულადი გზავნილების დიდი რაოდენობა ერიცხება. ქართველები კი მიდიან წლებით საკუთარი ოჯახების, შვილების, მეუღლეების, მშობლებისგან შორს და ბევრი მათგანი სამსუხაროდ, უკან აღარ, ან ვეღარც ბრუნდება. რამდენჯერ მსმენია თვითონ ემიგრანტებისგან, თუ წავალ - მხოლოდ რამოდენიმე წლით, შვილს ვასწავლი, პატარა ბინას ვიყიდი და დავბრუნდები, თუმცა ეს დაბრუნების დრო კი აღარ დგება. ამ ემიგრანტებს შორის არიან ისეთებიც, ვისაც საბუთები აძლევს საშუალებას, რომ ქვეყანაში დაბრუნდნენ წელიწადში რამდენჯერმე, თუმცა ისევ უკან ბრუნდებიან. ისიც მსმენია, ჩამოსულა უთქვამთ, რაც წავიდა, არაფერიც არ შეცვლილა, უფრო მეტი უარესობა დამხვდა. გაზრდილი ფასები პროდუქტებზე, მედიკამენტებზე და ა.შ. ამიტომაც, რასაც ხედავენ ნეგატიურს, სწორედ ეს აიძულებს, რომ ისევ მიიღონ გადაწყვეტილება და უკან, ემიგრაციაში დაბრუნდნენ. ის კი არაა, ზოგიერთი ადამიანი, რომელიც წლებია ემიგრაციაში, ერთ კონკრეტულ ქვეყანაში იმყოფებოდა, სხვა ქვეყანაში გადასვლა სცდებოდა და სამუშაოდ. ვეროპიდან - ამერიკაში და ამერიკიდან - ევროპაში - მათ „მოგზაურობას“ დასასრული არ უჩანს. ვისაც იმის საშუალება აქვს, გარკვეულ თანხას აგროვებს იმისთვის, რომ საკუთარი დიდი ხნის უნახავი ოჯახის წევრი წავიყვანოს თავისთან, რათა წლების ნოსტალგია გაიქარწყლოს, ესეც დიდი საქმეა. თუმცა, არსებობენ ისეთებიც, რომლებიც წასვლის დღიდან, ერთხელაც ვერ ახერხებენ დაბრუნებას და ვერც ოჯახის წევრები მივათ. აქ მათ ელოდებიან მეუღლეები, შვილები, მშობლები, დედამამიშვილები, შვილიშვილები, უმრავლესობა კი საერთოდ უნახავი შვილიშვილები ჰყავთ სამშობლოში და მხოლოდ სოციალური ქსელის მეშვეობით უნევენ სრულიად უცხო ოჯახის წევრებთან კონტაქტი. სამსუხაროდ, ასეთ ვირტუალურ ურთიერთობას, ძალიანაც რომ მოინდომონ, ვერანაირი ფიზიკური ურთიერთობა ვერ ჩაანაცვლებს, სულ სხვაა შენ გვერდით მყოფ ოჯახის წევრთან ერთად სიხარული-

სა თუ ტკივილის გაზიარება და ბევრჯერ ემიგრანტებისთვის ეს უდიდესი გულსიტკივილის ტოლფასია. სიმართლე მხარეა, თუმცა ფაქტი ერთია, რომ ისინი დღიდან საღამომდე შრომობენ, რათა უზრუნველყონ ოჯახები მატერიალურად, თუმცა აკლდებიან ყველაზე ღირებულს, წამდვილ, ადამიანურ ურთიერთობებს (მშობელსა და შვილს შორის, პაპა-ბებიასა თუ შვილიშვილებს შორის).

მე ამ მონოლოგით არ ვცდილობ ვილატყას გული ვატიკინო, ან დავაკინო, უბრა-



ლოდ საზოგადოების სწორედ იმ ნაწილის აზრს გამოვხატავ, რომლებსაც ახლა ხშირად მსმენია ფრაზები: „მე ჩემი შვილის გარეშე ერთ დღესაც ვერ გავძლებ“, „ღმერთო, რა გული უძლებს, რომ შვილიშვილებს ვერ იკრავენ გულში, აქ ვინც ვცხოვრობს, ვერ ვცხოვრობთ?“, „წავიდა? შეიძინა? მოუწყო შვილს ცხოვრება? რა აღარ ყოფნით?“, „მენი ტკივილი კერია უნდა გერჩივოს ბევრ ფულს“. მოკლედ, ფრაზები ემიგრანტების მისამართით არის საოცრად ბევრი და საკმაოდ მძიმედ მოსასმენი, თუმცა რეალობასთან სრულიად შესაბამისობაშია. კი, ვიცით, რომ ჩვენ პატარა ქვეყანაში ცხოვრობთ, სადაც ჩვენა სამსუხაროდ, ყველა ყველას მიბაძვით ცხოვრობს. ვილატყას შესაძლოა გაუმართლა რაღაც პერიოდში და საკუთარი ცხოვრება სხვაზე უკეთ მოინყო. ამიტომაც აქ შრომას, ან, უმეტეს შემთხვევაში ისეთი სამუშაოს შესრულებას, რომელიც „ეთაკი-ლებათ“, მიდიან ემიგრაციაში და იქ, უმეტეს შემთხვევაში მოხუცების მომვლევად მუშაობენ. დიახ, ვიცით, რომ ყველაზე ახალგაზრდა სამუშაო დასაფასებელია და ყველაზე ახალგაზრდა სამუშაო უნდა ვცეთ, თუმცა ემიგრანტთა გარკვეულ ნაწილში არიან ადამიანები, რომლებიც იქ, საზღვარგარეთ, მოხუცის მოვლაში რომ იღებენ ანაზღაურებას, აქ კი, საკუთარ ქვეყანაში, ლოგინად ჩავარდნილი ოჯახის წევრს, ყურადღებას არ აქცევენ. არ ვიცი, ნეტავ ეს ქართველ-

ბის „კუდაბზიკა“ ხასიათისა თუ „ზემოდან ყურების“, უკადრისობის დამკვიდრებული პრინციპის ბრალი ხომ არაა? თუმცა, ასეა თუ ისე, ერთი უკიდურესობიდან მეორე უკიდურესობისაკენ მივიწეეთ და სამსუხაროდ, ამ ყველაფერს დასასრული არ უჩანს.

დღეს კი, როდესაც ტრამპი გახდა ამერიკის პრეზიდენტი, გულისფანტკალით შესცქერიან ჩვენი მოქალაქეები „უკანონო ემიგრანტობას“, რომლებიც წლებია ამერიკაში უკანონოდ იმყოფებიან. რეალურად თუკი არსებულ სიტუაციას განვიხილავთ, არავის აქვს უფლება, შეენიანამდეგოს ქვეყნის პირველ პირს, თუ რატომ იღებ ამა თუ იმ რეფორმასო?! ხომ გარჩინა, ხომ გაცხოვრა, ხომ შეგისრულა ოცნებები? ჰოდა, ანი ქვეყანა მისია და უფლება აქვს, როცა მოესურვება, ქვეყნიდანაც გამოგისტუმროს.

ასე რომ, ყველა ემიგრანტი უნდა იყოს იმისთვის მზად, რომ ადრე თუ გვიან საკუთარ ქვეყანაში მოუწევთ დაბრუნება. რამდენიმე დღის წინ სოციალურ ქსელში გავრცელებული ვიდეო გამახსენდა, სადაც 24 წელი ემიგრაციაში მყოფი შვილი სახლში ბრუნდება და მამა ხვდება. მამის თვალეხს სიტყვები ვერ აღწერს, რომელიც კადრში ჩანს. ემიგრანტის მამას 24 წლის შემდეგ მაინც გაუმართლა, რომ შვილი დაბრუნდა.

თუმცა, არის სხვა შემთხვევებიც. ერთი მოხუცი ბებოს ნათქვამი გამახსენდა, რომელსაც შვილი და რძალი ემიგრაციაში ჰყავდა, -სიკვდილის იმიტომ მეშინია, რომ მათი დარდი გამყვებო და მართლაც იმ დარდით წავიდა ამქვეყნიდან.

P.S. ბებოს მსგავსად, მართლაც რამდენი ადამიანი წავიდა ამქვეყნიდან გულისტკივილით, რომლებსაც წლების მანძილზე ემიგრაციაში მყოფი ოჯახის წევრების ნახვა ენატრებოდათ?

თუმცა, მიუხედავად ყველაფრისა, ბოლოს მოგმართავთ თქვენ, ემიგრანტებო, რომ თქვენი ოჯახის წევრების უმრავლესობა (გამონაკლისებს თუ არ ჩავთვლით), უზომოდ მდინდებიან არიან თქვენთან. მნიშვნელოვანია, რომ იცოდეთ, - რამდენად წარმოდგენილად არ უნდა მიგაჩნდეთ, რომ აქ, თქვენ უკვე აღარავის სჭირდებით, ცდებით, თითოეული თქვენგანი ძვირფასი და ძალიან მნიშვნელოვანი ხართ!

დაე, ინებოს უფლის ძალამ, რომ ყველა ემიგრანტი სამშობლოში დაბრუნებულიყოს!!! თქვენ კი, ემიგრანტებო, ემიგრაციაში შექმნილი გემოვნება და ცხოვრების წესი, სამშობლოს აყვავებისა და წინსვლისთვის მოგვხმარო!

ნაგო მელიქიძე

ქართული ერი პრისმოკრატიული და რაინდული

ქართული ხალხის ეთნოსი არისტოკრატიული და რაინდულია, გერმანულმა მეცნიერებმა ევროპელ ხალხებს „კავკასიური რასა“ უწოდეს, ფრანგულ ენაში კი „კლუპედიანი“ კი ქართველები მოიხსენიებოდნენ „უმშვენიერეს და უმამაცეს ხალხად მსოფლიოში“. „ქართული არისტოკრატია პროცენტულად უდიდესია ევროპაში და ამიტომ ჩვენ წულზე უნდა დავიყვანოთ“-ო, - ამბობდნენ წითელი რუსეთის ჯალათები. მათ მართლაც განადგურეს საუკეთესო ქართველების უდიდესი ნაწილი.

დღეს, როდესაც საქართველო დამოუკიდებელი ევროპული სახელმწიფოა, მისი ენა და კულტურა, რომელიც ერთის მხრივ წარმოადგენს გადარჩენილი იბერიული მოდემის ენას, მეორეს მხრივ კი პატრიონა უდიდესი ხელოვნების, კულტურის, ლიტერატურისა და ისტორიის, მართლაც უნიკალურია, ისევე, როგორც მისი დამწერლობა, იმედია, მომავალში მინც გადარჩება ცილისწამებასა და გაყალბებას, მით უმეტეს, რომ ქართველმა არისტოკრატმა ლორსულად გამოიჩინა თავი სამხედრო ხელოვნებასა და საზოგადოებრივ კულტურულ ასპარეზზე ვეკიბესა, ირანსა და ერაყში, თურქეთსა, ბიზანტიასა და რუსეთში, დაუფიქრდა ესპანეთის, გერმანიის, რუსეთის, იტალიის, პოლონეთის სამეფოების საგვარეულოებს.

აკადემიკოსი მზია ანდრონიკაშვილი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრი, საქართველოში ფეოდალური წყობილების ჩამოყალიბებისას განიდა აზნაურთა ფენა, ხოლო დანარჩენი ერი თავისუფალ მეომართა „შაჰროვანთა“ სახელით იწოდება. თანდათან ჩამოყალიბდა დიდი აზნაურები - ერისთავები და სუფიერები, რომლებსაც მოგვიანებით დიდი მთავრები და თავადებიც დაემატა.

თუ ქართულ ფეოდალურ წყობას შევადარებთ ევროპულ ფეოდალურ წყობას, მივიღებთ შემდეგ სურათს. დიდი მთავარი - შერცოვს უტოლდება, დიდი თავადი - მარკიზს, საშუალო დიდი - გრაფსა და ვიკონტს, დიდი აზნაური (ტახტის აზნაური, ან მოურავი) - ბარონს, საეკლესიო აზნაური - ვიკონტს, ხოლო აზნაური - შევალიეს.

მიუხედავად იმისა, რომ XIX საუკუნეში რუსეთმა ქართული თავდაზნაურობა მიიღო რუსულ იმპერიაში, არ გაითვალისწინა ზემოაღნიშნული ნიუანსები და ქართველ მეფეთა-მთავართა და დიდაზნაურთა გვარები უბრალოდ „ქნაზებად“ და „დედოფანებად“ მიიჩნია, რითაც ქართველი არისტოკრატია დაამდაბლა, ხოლო ბევრი ქართველი საგვარეულო, რომელმაც თავგანწირვით იბრძოლა რუსეთისათვის, ეს არაფრად ჩათვალა და გაანადგურა.

ნიუმოლეთ ბორჯომის სოფლის ისტორია!

თორბეის თორი თორელთა!

მინდა მოგიყვებოთ ერთი ისტორია, რომელიც ასევე ჩვენი რაიონის მშენებლობის სფეროდანაა. როგორც ისტორიკოსებმა ცნობილი, და ეს არქეოლოგიური კვლევა-ძიებითაც დასტურდება, ბორჯომის ხეობაში პირველყოფილ ადამიანს უცხოვრია. II-IV საუკუნეებში აქ დაარსებულა თორის საერისთავო, რომელიც XV საუკუნემდე არსებობდა და აქაურთა თორის მხარედ იწოდებოდა. თორი იყო სამხრეთ საქართველოს ადმინისტრაციული და კულტურული ცენტრი. თავისი მდებარეობით, ეს იყო ქართლისა და სამცხის შემაერთებული, სტრატეგიული მნიშვნელობის მხარე. თორელები დიდ როლს ასრულებდნენ მტრის განადგურებაში. ისინი მონივრე რაზმებს ადგენდნენ და გმირულად იბრძოდნენ. თორიდან გამოდიოდნენ თვალსაჩინო მოღვაწენი, სარდლები, მწიგნობრები და ა.შ. VIII საუკუნეში თორის მხარე არაბებს გაუნადგურებიათ. აქი წერს გიორგი მეჩრეულე - „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში, რომ ეს კუთხე არაბების გამანადგურებელ შემოსევას, უდაბნოდ უქცევიათ. თორს თათარი-მონღოლებიც კი შემოსევია. მიუხედავად იმისა, რომ თორის უმთავრესი დამცველი იყო საქართველოს სამხრეთი საზღვრების დაცვა მტრისაგან. იგი განთქმული ყოფილა ჭირნახულის მისაველიანობითაც. სოფელი თორი მდებარეობს ბაკურიანიდან 15-ოდე კილომეტრში, მდინარე შავი წყლის სათავეებში, სადაც მას ერთვის მცირე მდინარე თორულა. თორის ხეობის ხელახალი აღორძინება IX საუკუნეში დაწყებულა XV საუკუნემდე არსებობდა, ხოლო შემდეგ ხეობას „სადგერის ხეობა“ ეწოდა. გვიან პერიოდში, ამ მხარის ცენტრი თორიდან სადგერში გადაუტანიათ. XVI საუკუნეში თორის სათაბაგო ოსმალებმა დაიპყრეს. XVII-XVIII სს-ში კი იგი ქართლის სამეფომ უკანვე დაიბრუნა. თორი თანამედროვე ბორჯომის რაიონის ტერიტორიაა. 1944 წელს მესხეთიდან თურქი ეროვნების ოჯახების გასახლება გამოიწვია განსახლების სისტემის მოწესრიგება-განხორციელების აუცილებლობა. ანუ გადასახლებულ თურქთა დაცარიელებულ ადგილებში (ძირითადად ახალციხის, ასპინძის, ადიგენის რაიონების სოფლებში) ჩაასახლეს ბორჯომის რაიონის სხვადასხვა სოფლების ბეჭეთი, ბერისსაყდრების, ტბის, ნეძვის, ჭაჭარაქის, თორის, ზემო იმერეთისა და რაჭის მოსახლეობა. თანამედროვეთა გადმოცემით, მთავრობას გადასახლება

ძალით, ცხენოსანი მილიციის მეშვეობით განუხორციელებია. თავისი სურვილისა და ნების წინააღმდეგ - მშობლიური სამოსახლო ადგილიდან გარეკილი მოსახლეობა, მთელი სიცოცხლის მანძილზე, ცხოვრობდა და შრომობდა ახალსახლობაში და დღეისადაც თავიანთ ისტორიულ სოფლებში დაბრუნებას მისტიროდა. თორელებმა, ფერეიდნელი ქართველებისა არ იყოს, შვილიდან შვილს გადასცეს თორის მხარეში ტკბილ მოგონებად შემორჩენილი ცხოვრების ეპიზოდები. მათ ამ კუთხეში ოდესმე დაბრუნების დიდი ოცნება ცხოვრების მიზნად დაისახეს და მთამომავლობასაც იგივე უნადგომეს. 90-იან წლებში ბორჯომის გამგეობაში ყოფილი თორის მაცხოვრებელმა, პედაგოგმა ილია ლარიშვილმა, რომელიც თორში ჯერ კიდევ 1958 წლიდან იბრძოდა სოფელ თორის აღდგენისა და მასში ყოფილ თორელთა დაბრუნებისათვის. ილია ლარიშვილმა 17 ოჯახის ხელმოწერა წარუდგინა გამგეობას, რომლის ხელმოწერელი ითხოვდნენ: - თორში დაბრუნება გვიჩადო. საშინელი დრო იყო. ილიას სოფლის აღდგენაზე უარი უთხრეს. მიუხედავად ამისა, ეს პრინციპული, პატრიოტი კაცი არ გვეშვებოდა, ყოველ ორშაბათს იგივე განაცხადით იდგა გამგეობის წინ. თან ამტკიცებდა, თავისი არგუმენტებით, ეს საქმე შესრულებადია... სოფლის აღდგენას სირთულეები ახლდა: ფული, გზა, გენგემის არ არსებობა, აღდგენილ სოფელს მინის ნაკვეთების ნახევარ საუკუნეზე მეტი იყო გასული, რაც მეზობელ სოფლებზე იყო გადანაწილებული. მართალია, სასიამოვნო ფაქტი იქნებოდა მშობლიურ რაიონში სოფელ თორის კვლავ დაფუძნება, მაგრამ ის დრო იყო, როცა აფხაზეთის ომში სოფლებს ზედიზედ ვეკარგავდით. ჩვენ რაიონში ოსი მოსახლეობა სოფლებს ტოვებდა, თორის აღდგენა უტოპიად მიაჩნდა. იმ პერიოდში გამგეობაში ვმუშაობდი, ასევე „მოვინაშე“ ამ ნინადგებით. არქიტექტორები ხომ ოპტიმისტები ხალხი ვართ... ილია ლარიშვილს „შევეკარი“, საქმის მოგვკარეთ და მოუკიდებლად დავინყეთ. პირველი, რაც გავაკეთეთ, პრესა-ტელევიზია შევანუხეთ, მოვიწვიეთ ცენტრალური ტელევიზიიდან საქართველოს დამსახურებული პურნალისტი ომარ ჩიტაია, ჩვენი რაიონის მკვიდრი, თორელთა მთამომავალი და ერთ დროს იქ მაცხოვრებელი ტელერეჟისორი, ვანო გელაშვილი, სამხარეო პურნალისტი ვლადიმერ ხურციძე. ბაკურიანიდან მეტყვევებმა ორხიდიანი მანქანა გვათხოვეს და მეგზურებად ბორჯომელი გვარდიელი ჯარისკაცები გამოგვავიყვანეს. ავედით სოფლის ყოფილ ტერიტორიაზე. ამგვარად, ტელეეთერისა და გაზეთისათვის გაკეთდა გადაცემა-განაცხადი, რომ მალე სოფელი თორი აღდგებოდა.



საქართველოს ტელევიზიით გადაიკა ფილმი სახელწოდებით „თორბეის თორი თორელთა“. შემდეგ დავინყეთ მოძრაობა. მიგაკითხეთ დედაქალაქში მრავალ ბიუროკრატიულ ინსტანციას. ვამტკიცებდით, ვთხოვდით, ნაცნობებს ვიყენებდით. საოცარი ენთუზიაზმით დარბობდნენ ჩემთან ერთად სამინისტროებში ილია ლარიშვილი. მალე თორის გენგემაც გავაკეთეთ. საინტერესო ის იყო, რომ ილია ლარიშვილი, როდესაც გადასახლეს (14 წლის ყოფილა), მესხიერებაში ჩარჩენია სოფლის გემმა, ანუ ის, თუ სად რა შენობა და ვისი სახლი იდგა. გენგემის გაკეთებისას, მისი თხოვნით, მე გავიტვალისწინე შენობათა ყველა მაშინდელი განლაგება. ბოლო წერტილი - სოფლის სტატუსი და სოფელ თორისათვის სახნავ-სათესი მიწების გამოყოფის საკითხი, - ცოტა გავიჭიანურდა, მაგრამ პარლამენტის ახალი, ერთ დროს „მწვანე“ თავმჯდომარის, ზურაბ ჟვანიას შუამდგომლობით, ამასაც მივაღწიეთ - საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ, ახლახანს გარდაცვლილმა ნიკო ლეკიშვილმა ხელი მოაწერა ბრძანებას თორისათვის 60 ჰა მიწის გამოყოფაზე. (№27/30, 1997 წლის 20 ივნისს). და აი, 1997 წლის ზაფხულიდან თორელები ხის სახლებს ჩადგმას შეუდგნენ. თორში გზა ოქტომბრიდან გაზაფხულამდე იკეტებოდა, ამიტომ ზამთარში იქ მხოლოდ თითო-ორილა მაცხოვრებელი თუ რჩებოდა (ახლაც ასეა).. ილია ლარიშვილი, გარდაცვლილამდე თავკაცობდა სოფელს და დიდი იმედი ჰქონდა, რომ ოდესმე თორი ისევ გახდებოდა ბორჯომის ხეობის სავიზიტო ბარათი. თორის სოფლის ახალი სტატუსი 2001 წლის ოქტომბერიდან მიენიჭა. სოფელი ძნელი ასაშენებელია, ამიტომ ისტორიული თორის განახლებას და განსახლებას განსაკუთრებული მზრუნველობა და ყურადღება ესაჭიროება.

მაია გელაშვილი, არქიტექტორი.

ნიგინის თარო საგზლად სიყვარულიც მეყოფა

მზის სინათლე იხილა ბორჯომელთათვის უსაყვარლესი და უნიჭიერესი პოეტის, ქალბატონი იზო სარქისიანის პოეტურმა კრებულმა, რომლის სათაურია: „საგზლად სიყვარულიც მეყოფა“.

იზო სარქისიანი დაიბადა 1954 წლის 23 ივლისს ბორჯომის რაიონის სოფელ დიდ ცემში, მრავალშვილიან ოჯახში. 12 დედამამშვილი ყავდა. დაამთავრა ნაღვერის საშუალო სკოლა. ოჯახში ფინანსური პრობლემების გამო უმაღლეს სასწავლებელში სწავლა ვერ გააგრძელა. ოცნებობდა ფილოლოგობაზე. 1974 წელს მუშაობდა დაიწყო ბორჯომის „საქსოფლექტე-ქნიკაში“ მდივან-მემანქანედ. იმავე ორგანიზაციაში იმუშავა კადრების ინსპექტორად, ბუღალტრად.

ლექსებს ბავშვობიდან წერდა. უმძიმესმა წლებმა და უფლისაგან ბოძებულმა „მუხამ“ მრავალი შესანიშნავი ლექსი დაანერგინა.

როგორც ნიგინის რედაქტორი, ბატონი ვალერიან ლომიძე ნიგინის წინასიტყვაობაში აღნიშნავს, ქალბატონი იზოს ლექსებში იგრძნობა საქართველოსადმი უსაზღვრო სიყვარული და პატრიოტული განცდა. მისთვის საქართველოა დედასამშობლო და გულით უმღერის მის მთაბარს, ისტორიას, დღევანდელი დღისა და მომავლის შესახებ მუდამ მრავალფეროვანია...

...განსაკუთრებით აღსანიშნავია პოეტის დამოკიდებულება ქვეყანაში მიმდინარე პრობლემებისადმი, მრავალ ლექსში მკაფიოდ იკვეთება ცხოვრებაში ანტისახელმწიფოებრივი მომენტებისადმი მისი შეურიგებელი დამოკიდებულება. ბევრი ლექსი სარკაზმითაა აღსავსე.


მეტად ნიჭიერი ქალბატონის შემოქმედებას საზოგადოება გაზეთ „ბორჯომში“ გამოქვეყნებული ლექსებით გაცნობდა და გულით შეიყვარა...

ვისურვებდი იზო სარქისიანის შემოქმედებას მომავალში კიდევ უფრო მრავალფეროვანი ყოფილიყო, მის კალამს ჟანგი არ მოკიდებოდეს და მკითხველების გული გაეხარებინოს.

დღევანდელი ლექსების კრებული პირველია, მისი ოცნება ასრულდა. მომავალში კიდევ უფრო დიდ ნარმატებებს ვუსურვებ, - აღნიშნავს რედაქტორი.

აკი, აღვნიშნეთ კიდევ, რომ იზო სარქისიანის შემოქმედება დედამამშობლოს საგლობელია? ჰოდა, კრებულის პირველივე გვერდიდან პირველივე ლექსი სწორედ სამშობლოს იმედთან მომავალს ეხმარება:

შენთვისაა გათენადი საპარტიოვლო!
ვიცი: რამდენი წერილია აიტანე,
თავი წვალებით გაიტანე,
ნაღვერადლი კალთაში ჩაიყარე,
საიდუმლო უბეში ჩაიმარხე.
ვეგრძნობ: თალხი სამოსი გაიცვლება,
ქარი საქარეში ჩაგიდგება,
წყვიდადი რიჟარაში გაგიქრება,
მზიანი დილა გაბრწყინდება!
გული კვლავ ღვინით ამღერდება,



სიყვარული აღარ დაბერდება, ჩემო ტყვილო და სადარდლო, შენთვისაც გათენდება საქართველო!

მეტად საინტერესოდ არის გადამწყვეტილი კრებულში ლექსების თემატიკა თუ უბრალოდ ქალბატონი იზოს შემოქმედებისა და პიროვნების შესახებ მისი მეგობრების, ბორჯომელთათვის ასევე ცნობილი და საყვარელი ადამიანების ნაზხრევი. კრებულში შეხვდებით უჩა არაგვისპირელის, ნარგიზა გელაშვილის, დალი ქასაშვილის, მთვარისა-ესმა ტაბატაძის, ჯემალ ბიბილოვის, რუსლან ჯანაიძის (ჯანგოგოვი), გურამ ქუჩელი (ივანიძე), ნათელა ტაბატაძის, ანასტასია ხაჩიძის, ნანა ჩაჩანიძე-სალაღაისის მიერ მიღწეული სტრიქონებს ქალბატონი იზოსადმი.

ლექსების კრებულის ამწყობ-კორექტორია ნათელა იჩიტიძე, კომპიუტერული უზრუნველყოფა ეკუთვნის ნათელა პაპუაშვილს. ნიგინი დაიბეჭდა და დაკაბადონდა შპს „საარის“ საგამომცემლო-პოლიგრაფიულ ცენტრში.

რა თქმა უნდა, როგორც ყველა პოეტური კრებული, იზო სარქისიანის კრებულშიც არ გამოცემულა მადლიანი ადამიანების გარეშე, რათა კრებული მკითხველამდე მოსულიყო.

ნიგინის ავტორი გულწრფელ მადლობას უხდის ფინანსური დახმარებისთვის ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიას და სამშენებლო კომპანია „მშენებელი 2012“-ის ხელმძღვანელს, ვახტანგ კაპანაძეს.

ამ მცირედ რეცენზიაში, სამწუხაროდ, ბევრს ვერ დავწერ, უბრალოდ გირჩევთ, კრებული ნაიკითხოთ და გულით შეიყვაროთ ყველა ის ლექსი, რომელსაც ქალბატონი იზო წერს და რომლის სტრიქონებშიც ჩვენი ყველას სათქმელი იკითხება.

ნაგო გელიძე

მიქაძენა ღვინო ალმამაშვილის ხსენების დღეს

ღვინო ალმამაშვილი - „ძლიერი საკვირველი“ - ამ სახელწოდებით ჩატარდა კორტანეთის საჯარო სკოლაში ღვინო ალმამაშვილის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება.

თუ მსოფლიოს რომელიმე ერს ისტორია გააჩნია, ერთ-ერთი ჩვენს ქართველები ვართ. თუ ვინმეს დიდი ადამიანები უყოლია, არც ქართველები ვართ ამ მხრივ უბირნი. თუ საქართველოს ისტორიას სამეტყადად დავყოფთ, იქნება: დასაბამიდან დავით აღმაშენებლამდე, დავით აღმაშენებლიდან ილია ჭავჭავაძემდე და ილია ჭავჭავაძიდან დღემდე.


ისტორიის შედარებითი იმედი **ილია ჭავჭავაძე** მოსწავლეებს ესაუბრა დავითის სახელმწიფოებრივი სიბრძნის, მთავარსარდლოური გამჭრიახობის, გულადობის, ფილოსოფიური განსწავლულობის და აზროვნების, პოეტური აღმაფრენის და ზნეობრივი სიმინდის შესახებ.

გამოაქვეყნა პოსტერი: „ქაჯანი საკვირველი“.

ილია ჭავჭავაძის: „ღვინოს როლი ქვეყნის აღმშენებლობის პროცესში.“

„ღვინო - ღვინოაღმშენებელი“

ღვინოს როლი - გამოქვეყნდა-ღვინოაღმშენებელი. ღვინოს ნახვა - ღვინო ალმამაშვილი“.



საკაბილიტაციო საშუალებები იწყება!



მიმდინარე წელს, ბორჯომში, თორის ქუჩის №6-ში, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ფასადების რეაბილიტაცია იგეგმება. საკაბილიტაციო სამუშაოები 1 აპრილიდან დაიწყება. პროექტის ფარგლებში, სრულად გაუნახლებდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ფასადები, შეიცვლება სახურავი, აივნები და კარ-ფანჯრები, მოწყობა დეკორატიული ელემენტები. საკურორტო ქალაქის იერ-სახის გალამაზება, ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია, შესაბამისად საცხოვრებელი სახლების ფასადების, სადარბაზოების და მიმდებარე ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია მომავალშიც იგეგმება. ფასადების რეაბილიტაციის პროგრამის ფარგლებში, გასულ წლებში, ბორჯომში არაერთი პროექტი განხორციელდა.

მიმდინარე წელს, რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონიდან, ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფლებში და დაბებში საგზაო ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციო სამუშაოები განხორციელდება.

გზების რეაბილიტაცია დაგეგმილია: ტიმოთესუბანში, ცინისჯვარში, ნალვერში, ახალდაბაში, აღმამაშვილის ქუჩაზე, ნეძვის გზის და ბორჯომში, რაზმაძის ქუჩაზე.

დეგემილი პროექტების ფარგლებში მოხესრიგდება საგზაო ინფრასტრუქტურა და სანიაღვრე სისტემები, განხორციელდება მიერთებების და ეზოებში შესასვლელი მოწყობა, საჭიროების მიხედვით მოწყობა საყრდენი კედლები, რაც მუნიციპალიტეტის მოსახლეობას საშუალებას მისცემს განახლებული და კომფორტული გზებით, გადაადგილდნენ მუნიციპალიტეტის მასშტაბით.

ბორჯომში, რობაქიძის ქუჩაზე, მდინარე მტკვრის ნაპირსამაგრი კედლის



ბელი სახლების ფასადები, შეიცვლება სახურავი, აივნები და კარ-ფანჯრები, მოწყობა დეკორატიული ელემენტები. საკურორტო ქალაქის იერ-სახის გალამაზება, ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია, შესაბამისად საცხოვრებელი სახლების ფასადების, სადარბაზოების და მიმდებარე ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია მომავალშიც იგეგმება. ფასადების რეაბილიტაციის პროგრამის ფარგლებში, გასულ წლებში, ბორჯომში არაერთი პროექტი განხორციელდა.

რეაბილიტაციის სამუშაოები 1 აპრილიდან დაიწყება.

პროექტის ფარგლებში, განხორციელდება არსებული კედლის დაზიანებული მონაკვეთის აღდგენა-გამაგრების სამუშაოები, მოწყობა მოაჯირი და დეკორატიული ელემენტები. ჯამში 408 მეტრი მონაკვეთის რეაბილიტაცია მოხდება.

პროექტი სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება, რომლის ღირებულება შეადგენს 262 475 ლარს.

ინაურის ქუჩის მასშტაბური გულისკვირვითი თანაგრობა ზურა ბუზალაძის ოჯახს, მამის, შვიანისა და პიროვნების, მუშაობის მხარე მშენებ და მშენებლის

„IDS ბორჯომი-საქართველო“ განხორციელება

კომპანია „IDS ბორჯომი-საქართველო“ საზოგადოებას გავრცელებულ დეზინფორმაციაზე შემდეგი სახის განცხადებით მიმართა:

სოციალურ ქსელში გავრცელდა ინფორმაცია, რომ „ბაკურიანი ციდას“ ბოთლიდან დაღვნილი სითხით მოხდა მცირეწლოვანი ბავშვის ჰოსპიტალიზაცია. გაცნობებით, რომ კომპანიის მხრიდან მისიერი რეაგირების შედეგად, გადამოწმდა კონკრეტულ მალაზიაში (სადაც ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით მოხდა პროდუქტის შექმნა) ნიმუშები და დარღვევა არ გამოვლენილა.

პარალელურ რეჟიმში, შევამოწმეთ ამჟამად ქსელში არსებული ყველა პარტიის ნიმუში და ვადასტურებთ, რომ აღნიშნულ ნიმუშებში დარღვევა არ დაფიქსირებულა.

ასევე გადამოწმდა სანარმოო პროცესის სრული ტექნოლოგიური ციკლი, რომელიც გამოიცხადეს პროდუქტში რამდე უცხო ნივთიერების მოხვედრას. დეზინფორმაციის გამავრცელებლები საზოგადოების შეცდომაში შეყვანის მიზნით, მომხმარებლებს თავაზობდნენ ინფორმაციის გავრცელებას ასეთი ტექსტით:

მეგობრებო, ბავშვებს არ უყიდოთ ბაკურიანის წყალი „ციდა“, რაღაც მუშავა გაეპარათ ქარხანაში. ერთ-ერთმა ბავშვმა დალია და 100 %-ით ჩამწვარი აქვს ყველაფერი, იამბოლომ ნევს. ახლა სამხარაულშია ექსპერტიზაზე ეს წყალი და იკვლევენ, რა მოხდა. ასევე გთხოვთ გადააზიაროთ ეს პოსტი, რომ ყველამ მიიღოს შესაბამისი ზომები! სურსათის ეროვნულმა სააგენტომ მიიღო შეტყობინება ბავშვის სავარაუდო წყლით - „ბაკურიანი ციდას“ ინტოქსიკაციის შესახებ.

ინფორმაციის მიღებისთანავე სურსათის ეროვნულმა სააგენტომ დაიწყო მოკვლევა, სააგენტოს ინსპექტორები წყლის დამფასებელ სანარმოო ახორციელებენ არაგემიურ ინსპექტირებას, რომელიც მოიცავს სრულ ტექნოლოგიურ ციკლს.

ამავდროულად, სახელმწიფო კონტროლის ავტორიტეტში აღებული წყლის სინჯები, რომლის ლაბორატორიული კვლევის შედეგებიც მისიერად გასაჯაროვდება.

სურსათის ეროვნული სააგენტოს ინსპექტორების ჯგუფებმა, ბავშვის წყლით „ბაკურიანი ციდა“ სავარაუდო ინტოქსიკაციასთან დაკავშირებით, მიმდინარე წლის 4 თებერვალს, ჩატარებული მოკვლევის შედეგად დადგინდა პარტიიდან აიღო წყლის ნიმუშები, რომლებიც აკრედიტებულ სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორიაში გაიგზავნა.

ლაბორატორიული გამოკვლევა ჩატარდა შემდეგ მაჩვენებლებზე: ფერიაზობა, სუნი, გემო, სიმღვრივე, PH (წყალბადის მაჩვენებელი), სისხტე, ქლორიდები, საერთო მინერალიზაცია, ტყვია, კადმიუმი, რკინა, სპლენდი, თუთია, პერმანგანატული ჟანგვალობა.

სურსათის ეროვნულმა სააგენტომ ოფიციალურ გვერდზე გაავრცელა ინფორმაცია:

ლაბორატორიული კვლევის შედეგად, „ბაკურიანი ციდას“ წყლის ნიმუშებში დარღვევა არ გამოვლენილა.

კვლევის შედეგად, მუშაობა არცერთ მაჩვენებელში არ აღინიშნა. სამწუხაროდ, ყალბი ინფორმაციის გავრცელებას ყოველთვის თავისი მიზანი აქვს და როგორც ჩანს, არც ეს შემთხვევა გამონაკლისი. მოამზადა ირა ინჟინერაშვილი



გაზეთი რეგისტრირებულია ბორჯომის სასამართლოს მიერ 1997 წელს, რეგისტრაციის №24.04.59
რედაქციაშია შიქარიაშვილი გიორგი ივანიშვილი.
რედაქციაშია
ავტორების თვალსაზრისს თვითონ არ იზიარებენ.
მისამართი: ბორჯომი, ფალიაშვილის №2. ტელა: 22-29-65.
იბეჭდება: თბილისი, ე. ბაღდავაძის №20.
WWW.colorgroup.ge
borjomipress9@gmail.com
კორექტორი: ნანა კაპლიშვილი
რედაქტორი: ვალერიან ლომიძე